დავჯერდით 1 ბურთს

თბილისი. “ბურევესტნიკის” სტადიონი. 28 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) _ “ბელარუსი” (მინსკი) 1:0 (0:0).

“ბელარუსი”: დენისენკო, კოვალიოვი, მანკო, ზარემბო, ეროხოვეცი, ჟუკოვი, ილინი (ნიკულენკო), გონჩაროვი, ხასინი, ტერეხოვი, არბუტოვი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ჭრელაშვილი, ჩოხელი, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, დათუნაშვილი, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

28 აგვისტოს დაიწყო 1960 წლის საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატის ახალი ეტაპი იმ გუნდებისათვის, რომლებიც იბრძვიან მეორე ექვსეულში, ე.ი. VII-XII ადგილებისათვის. სამწუხაროდ, თბილისის “დინამოც” მათ შორის იმყოფება.

და აი, მატჩი მინსკის “ბელარუსთან”. მართალია, მინსკელებმა წელს ნამდვილი ფურორი მოახდინეს თავიანთი შედეგებით სეზონის დასაწყისში და აჩვენეს თამაში, რომელსაც მათგან არავინ მოელოდა, მაგრამ ყოველი გათამაშების სადებიუტო ნაწილში ადგილი აქვს ხოლმე ამგვარ მოულოდნელობებს და ფეხბურთში ჩახედული ხალხი ამას დიდი ხანია შეეჩვია. მით უმეტეს, რომ “ბელარუსმა” საბოლოოდ ვერ გაუძლო “ა” კლასის მუდმივ ბინადართა კონკურენციას, თანდათან უკან დაიწია გათამაშების ცხრილში და საბოლოოდ II ქვეჯგუფში მე-6 ადგილი დაიკავა.

ამიტომ იყო, რომ მატჩზე დამსწრე მაყურებლები დარწმუნებული იყვნენ დინამოელთა იოლ გამარჯვებაში და ჯერ კიდევ სტადიონზე მოსვლამდე ანგარიშობდნენ გუნდის მიერ გატანილი ბურთების საერთო ბალანსის გაუმჯობესების შანსებს. ისინი ჯერ კიდევ ბრაზილიის “ბაიასთან” ჩატარებული ბრწყინვალე მატჩის შთაბეჭდილებით იყვნენ ალესილნი.

მაგრამ “ბელარუსი” ეს “ბაია” არაა. თუ ბრაზილიელები გარკვეულ ხარკს უხდიან ფეხბურთს, როგორც სანახაობას და თავისებური ძალდაუტანელი სითავისუფლით ეპყრობიან ბურთსაც და მოწინაღმდეგესაც, ბელორუსი ფეხბურთელები მთლიანად მინდობილი არიან ე.წ. ძალისმიერ, წმინდა ათლეტურ ძალას, უდიდეს ფიზიკურ დატვირთვას და სანახაობით ფეხბურთს ცვლიან თავგანწირული, უკიდურესად დაძაბული ბრძოლით, რომლის უმთავრესი მიზანია არ მისცეს მოპირდაპირეს თამაშის გაშლის შესაძლებლობა.

მინსკელები ცდილობდნენ არ მიეცათ ბურთთან თავისუფალი ურთიერთობის საშუალება დინამოელთათვის და ეს მიზანი მიღწეულ იქნა კიდეც. “ბელარუსის” გეგმა ძირითადად იგივეა, რაც ტაშკენტის “პახტაკორისა”. თუ იქ ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ბურთის გატანის შესაძლებლობა შეექმნას ცენტრალურ ფორვარდს კრასნიცკის, აქ იგივე, ანალოგიური გეგმა ხორციელდება ხასინის მიმართ. “ყველაფერი ხასინისათვის”. და უნდა ითქვას, “ბელარუსის” ცენტრალური თავდამსხმელი მეტად სახიფათო, აქტიური, ენერგიული მოთამაშეა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა გაუჭირდა ჩოხელსაც კი და ხასინი რამდენიმეჯერ გავიდა პოზიციაში, საიდანაც არც ისე ძნელი იყო ბურთის გატანა.

ძირითადი უპირატესობა მინდორზე თბილისელთა მხარეს იყო. “დინამო” განაგებდა ბრძოლას როგორც ცნეტრალურ ზონაში, ისე “ბელარუსის” საჯარიმო მოედნის მისადგომებზეც, მაგრამ სტუმრების მასირებული დაცვა, გაძლიერებული გონჩაროვით (#8), ძნელი დასაძლევი აღმოჩნდა, ვინაიდან მანკოს (#3) საშუალება ჰქონდა ურთიერთდაზღვევითი ოპერაციები ეწარმოებინა თავდასხმის მთელი ფრონტის წინააღმდეგ.

თბილისელთა თამაში აშკარად ვერ აეწყო ბარცხენა ფლანგზე. მესხი ამ დღეს არ იყო თავის საუკეთესო ფორმაში და გარდა ამისა, დათუნაშვილისაგან ღებულობდა ყოვლად უსარგებლო, უმისამართო გადაცემებს, ხოლო ღოღობერიძე დაკავებული იყო მინდვრის შუაგულში წარმოებული ბრძოლით. გაცილებით უფრო ძლიერად გამოიყურებოდა მარჯვენა ფრთა: მელაშვილი-ბარქაია. პირველი ყოველ შესაძლებლობას იყენებდა კარში დარტყმისათვის, ხოლო მეორე საერთოდ წამყვან ფიგურას წარმოადგენდა ამ მატჩში. სწორედ ბარქაიამ მოუსწრო დენისენკოს მიერ მოგერიებულ ბურთს მელაშვილის დარტყმის შემდეგ და ძნელი მდგომარეობიდან გაგზავნა იგი კარში _ 1:0.

თბილისელები იძულებული იყვნენ დასჯერებოდნენ ამ ერთადერთ გოლს, რომელმაც მათ მოუტანა ორი ქულა.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 30 აგვისტო, 1960 წ.